

# საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომა

თარიღი: 2022 წლის 8 აპრილი

## ოქმი

ესწრებოდნენ:

გამგეობის წევრები:

- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- კობა გიორგაძე (დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
- მამუკა გორგოძე (დაბადებული 14.07.1984 წ., პირადი № 01031003677)
- აკაკი დავითულიანი (დაბადებული 01.06.1975 წ., პირადი № 12001031106)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01035000140)
- გიორგი კობახიძე (დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- გელა ქობულაძე (დაბადებული 30.04.1986 წ.; პირადი № 61006019618)
- გივი ჭიჭინაძე (დაბადებული 02.07.1959 წ.; პირადი № 01009002077)
- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ., პირადი № 01014002287)
- ლაშა ხურციძე (დაბადებული 13.02.1975 წ.; პირადი № 01008014751)

**სხდომის მომწვევი:** დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

**სხდომის თავმჯდომარე:** დავით კაჭარავა

**სხდომის მდივანი:** ნატალია კურტანიძე

**სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:**

- სრკ-ს პრეზიდენტის მრჩეველი ლევან ღვაბერიძე
- სრკ-ს ადმინისტრაციული დირექტორი თორნიკე გოგებაშვილი
- საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი
- სრკ-ს მაღალი მიღწევების და განვითარების დირექტორატების ადმინისტრატორი შალვა ხაბულიანი
- იურისტი ედუარდ ნაჭყებია

**სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შევამალი შემდეგი საკითხები:**

- 1 ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ანგარიშის მოსმენა (რაგბი ევროპის ჩემპიონატი)
- 2 ეროვნული ნაკრების მოთამაშეების და მენეჯმენტის პრემირების საკითხი (რაგბი ევროპა და მსოფლიოზე გასვლა)
- 3 დიდი 10-ის კლუბების საბაზისო დაფინანსების წესის კორექტირება

## სხდომამ გადაწყვიტა:

1

პირველ საკითხთან დაკავშირებით, გამგეობამ მოისმინა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის I კვარტლის ანგარიში, რომელშიც ლევან მაისაშვილმა მიმოიხილა რაგბი ევროპის ჩემპიონატისთვის დასახული მიზნები (მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა I ადგილიდან; რაგბი ევროპის ჩემპიონატის მოგება; ყველა მატჩის მოგება), განმარტა რაგბი ევროპის ჩემპიონატის ადგილი ნაკრების გრძელვადიან მიზნებში, ისაუბრა მოთამაშეთა სელექციაზე, სამწვრთნელო შტაბის დატვირთვაზე და დამატებითი მწვრთნელების საჭიროებაზე, გუნდში არსებულ განწყობაზე და მიდგომებზე, ხაზი გაუსვა სავარჯიშო ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის განახლების საჭიროებას.

მსჯელობის პროცესში აღინიშნა, რომ ნაკრებმა ვერ მიაღწია ერთერთ დასახულ მიზანს: რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ყველა თამაშის მოგება; ასევე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ თამაშის ხარისხი არ აკმაყოფილებდა მოლოდინს, რამდენიმე კომპონენტში შეიმჩნეოდა მრავალი ტექნიკური წუნი, რაც გამოწვეული იყო რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით. ტურნირის პირველი მატჩის შედეგი გამოიწვია ნაკრებში COVID-ის შემთხვევების სიმრავლემ, რამაც ხელი შეუშალა სამწვრთნელო პროცესს.

ნაკრების თამაშის ხარისხის გაუმჯობესებისა და სამწვრთნელო შტაბის გაძლიერების მიზნით, გამგეობის წევრებმა გადაწყვიტეს ეროვნულ ნაკრებში მაღალი კვალიფიკაციის მქონე შერკინების მწვრთნელის მოწვევა, რამდენიმე მაღალი დონის მწვრთნელთან მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს და ხელშეკრულების გაფორმების პროცესი უახლოეს მომავალში დასრულდება. სრკ-ს გამგეობამ ასევე მოითხოვა ნაკრების სამწვრთნელო შტაბისთვის სათანადო გამოცდილების მქონე კონსულტანტის მოწვევაზე. დაჩქარებული ტემპით უნდა გაგრძელდეს მუშაობა სხვა პრობლემატური საკითხების გადაჭრაზე, პირველ რიგში - საზაფხულო და საშემოდგომო ტესტ-მატჩების დაგეგმვაზე და შევარდენის ბაზის რეაბილიტაციაზე.

2

მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ეროვნული ნაკრების მოთამაშეების და მენეჯმენტის პრემირების საკითხს, გამგეობამ განიხილა ეროვნული ნაკრების მოთამაშეების და მენეჯმენტის პრემირების არსებული სისტემა, რომელიც მოძველებულია, არასაკმარისად მოქნილია და ზედმეტად ტვირთავს სრკ-ს არსებულ ბიუჯეტს.

საკითხზე მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრები შეთანხმდნენ საკითხის მოგვარების ზოგად პრინციპებზე და მიდგომებზე. უახლოეს პერიოდში გაიმართება

კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, რის შემდეგაც მოხდება ნაკრების პრემირების განახლებული სისტემის დამტკიცება.

3

მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა დიდი 10-ის კლუბების საბაზისო დაფინანსების წესის კორექტირებას, გამგეობას ეთხოვა შესწორების შეტანა 2021 წლის 30 ივლისს დამტკიცებულ „დიდი 10, პირველი და რეგიონალური ლიგების 2021-2022 წლის შეჯიბრებებში მონაწილე კლუბების (გუნდების) საბაზისო დაფინანსების განაწილების წესში“, ვინაიდან აღნიშნულ დოკუმენტში მოხსენიებული იყო დიდი 10-ის კლუბებზე გამოყოფილი დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა და არ იყო განმარტებული დაფინანსების პირობები. გამგეობის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ცვლილებები შევიდეს 2021 წლის 30 ივლისის გამგეობის მეშვიდე საკითხში, რომელიც ეხება დიდი-10-ის ლიგაში მონაწილე 10 კლუბის (გუნდის) საბაზისო დაფინანსებას და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- *„დიდი-10-ის ლიგაში მონაწილე 10 კლუბები (გუნდები) საბაზისო დაფინანსების სახით მიიღებენ 750 000 (შვიდასორმოცდაათი ათასი) ლარს თითოეულ კლუბზე (გუნდზე), ხოლო ესპუარტა ლიგაში მონაწილეობის შემთხვევაში - დამატებით 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს თითოეულ კლუბზე“*

სხდომის დასასრულს, გამგეობის წევრებმა მოისმინეს საინფორმაციო განახლება სრკ-ს მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

მერაბ ანთაძე \_\_\_\_\_

კობა გიორგაძე \_\_\_\_\_

მამუკა გორგოძე \_\_\_\_\_

აკაკი დავითულიანი \_\_\_\_\_

დავით კაჭარავა \_\_\_\_\_

გიორგი კობახიძე \_\_\_\_\_

იოსებ ტყემალაძე \_\_\_\_\_

გელა ქობულაძე \_\_\_\_\_

გივი ჭიჭინაძე \_\_\_\_\_

ალექსანდრე ხვედელიძე \_\_\_\_\_

ლაშა ხურციძე \_\_\_\_\_